პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 ნოემბერი შაბათი 1972 წელი 2 ქაქ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 271 (15484)

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1972 წლის 18 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1972 წლის 17 ნოემბერი.

ეხმაურებიან, იწონებენ, მხარს უჭერენ შესანიშნავ თაოსნობას

## დამკვრელურად გამოვაცხადოთ იუბილემდე დარჩენილი დღეები

### შეჯიბრება გაჩაღდა, მეპარატეები ღანინაურდნენ

**დამკვრელური შრომით აღვნიშნოთ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილემდე დარჩენილი 50 დღე, 1972 წლის 29 დეკემბერს ვიმუშაოთ დაზოგილი მასალებით და ნედლეულით, — ამ ინიციატივით გამოვიდნენ თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი და ქუთაისის ლითოფონის ქარხნების კოლექტივები. მათს თაოსნობას ბევრი საწარმოს კოლექტივები გამოეხმაურნენ. გაიშალა ახალი შეჯიბრება, ნაკლსრი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები. ამ შეჯიბრებაში ჩაებნენ თბილისელი ელმავალმშენებლებიც.**

**მესამე** საამპარატე საამქროს სამასკაციანი კოლექტივი დღეს განსაკუთრებული ენთუზიაზმით შრომობს. ეს გასაგებიც არის, ახლახან, როცა თბილისელ ელექტროვაგონშემკეთებლებსა და ქუთაისელ ლითოფონელებს გამოვეხმაურეთ, საამქროს ყველა უბანმა, ყველა მუშამ გადახედა თავის შესაძლებლობებს და გაზრდილი ვალდებულებები იკისრა.

ჩვენი საამქრო მეტად მნიშვნელოვან პროდუქციას — ელმავლებისათვის საჭირო ელექტროაპარატურას ამზადებს. ამიტომ როიდენობასთან ერთად ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ პროდუქციის ხარისხს. შეჯიბრება პროდუქციის უკეთესი ხარისხისათვის ჩვენთან მაღალ დონეზეა. ათობით მუშას მოპოვებული აქვს „პირადი დამღის“ ტარების უფლება. ახლა, როცა ახალი შეჯიბრება გაშალეთ, ჩვენი ქვეყნის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის, საამქროს კოლექტივის შრომამ კიდევ ერთი ახალი კარგი მიმართულება მიიღო — ამაღლდა თვითეული ჩვენგანის პასუხისმგებლობის, დისციპლინის, მომჭირნეობის გრძნობა.

შედეგიც კარგი მავიღეთ. ამ დღეებში ბრიგადები და ცალკეული მუშები უკეთ შრომობენ. ბევრი ბრიგადა, რომლებიც ადრე სამუშაო მაჩვენებლებს აღწევდნენ, ახლა მოწინავეთა რიგებშია.

ჯერჯერობით კი ჩვენს საამქროში პირველობას არავის უთმობენ ელექტროზენიკალთა, მეავტომატეთა, ზენიკალ-მბურღავთა ბრიგადები, რომლებსაც ვ. ნოზაძე, ტ. ქურდაძე, შ. ეკიზაშვილი ხელმძღვანელობენ. ქების ღირსია ახალგაზრდა მეავტომატის, ლენინის ორდენოსან ლ. ვარდოსანიძის ბრიგადა, რომელიც საამქროს ბრიგადებს შორის ამ დღეებში საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს. დამკვრელური შრომის ნამდვილ მაგალითს თვით ბრიგადირი აჩვენებს.

საამქროს კოლექტივმა კარგი შედეგებით დაამთავრა გასული ათი თვე. რეალიზაციის დავალება 102 პროცენტით შეესრულეთ. მაგრამ ახლა ამას აღარ დავჯერდებით. ვიბრძოლეთ იმისათვის, რომ უკეთესი მაჩვენებლებით შეეხვედეთ საიუბილეო თარიღს, ვიდრე ჩვენი „მეტოკის“ სატვიფონ საამქროს კოლექტივი, რომელიც შეჯიბრებაში გამოეწყვიეთ.

**ა. მამადაშვილი,**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის № 3 საამპარატე საამქროს უფროსი.**

### ინიციატორები შრომითს ვახტზე

ქუთაისის ლითოფონის ქარხნისა და თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი კოლექტივები გამოვიდნენ პატრიოტული წამოწყებით — დადგნენ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ 50-დღიან შრომითს ვახტზე. ქუთაისის ლითოფონის ქარხანა ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს სახელს. მან ვადამდე შეასრულა ათი თვის გეგმა და 349 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. ამჟამად შეჯიბრების ინიციატორები წარმატებით შრომობენ დევიზით: „დამკვრელური შრომით შეეხვედეთ საბჭოთა კავშირის ნახევარსუკუნოვან იუბილეს“. სურათებზე: ქვემოთ — ლითოფონის გამომშვები ლუმელები. ზემოთ — მოწინავე მეპარატე კ. არსენიძე.

ბ. ბერსამის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



### შრომა ღირსების საქმეა

დამკვრელურად გამოვაცხადოთ იუბილემდე დარჩენილი დრო, წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე წელი, აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს — ნათქვამია ჩვენი რესპუბლიკის ორმოცდაათი სოციალისტური შრომის გმირის წერილში, რომელიც ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა. წერილს გულდასმით გავეცანით, ჩვენმა მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს და ამასთან აღნიშნეს, რომ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში მეურნეობის ყოველგვარ საეგმო დავალებას უთუოდ შეასრულებენ.

ჩვენმა მეურნეობამ საიუბილეოდ საამშობლოს ბევრი კარგი საჩუქარი მიუძღვნა. ნაცვლად 450 ცენტნერისა 460 ცენტნერი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, 3.000 ცენტნერის ნაცვლად — 4.250 ცენტნერი რძე. დიდი გადამეტებით შესრულდა ბოსტნეულის, ხილის დამზადების გეგმები.

მიმდინარე სამეურნეო წელი მთავრდება. მართალია, წარმოებისა და დამზადების გეგმები შესრულებული გვაქვს, მაგრამ მეურნეობაში საქმეს რა გამოლევს. ახლა მომავალი წლისათვის ვემზადებით. ბაღებში რიგთაშორის გაცხოველებით მიმდინარეობს ხვნა. 1.100 ჰექტარიდან უკვე მოხნულია 850 ჰექტარი. დანაჩენის ხვნასაც სულ მალე დავამთავრებთ. ჩვენი საგრაკტორო პარკი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზად არის, მალე დამთავრდება კომბაინების შეკეთებაც.

ჩვენი მიზანია მიმდინარე სამეურნეო წელი დავამთავროთ საამაყო მაჩვენებლებით და მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს.

**რ. უანჩაველი,**

**ჯორის რაიონის შავშვების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.**

## მეგობრული შეხვედრა

16 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარევმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღეს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვიეტნამის შესასწავლ პარიზის თათბირზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სპეციალური მრჩეველი ლე დიკ თხო, რომელიც მოსკოვში იმყოფება პარიზს გზად მიმავალი.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის საკითხები. ლე დიკ თხომ აღნიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს ჩვენი ერთანიერების, რათა ვიეტნამში რაც შეიძლება მალე აღდგეს მშვიდობა იმ შეთანხმების ხელმოწერის გზით, რომელიც შემუშავებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთა კონფიდენციალური შეხვედრების მსვლელობაში.

საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ განუხრელად უჭერს მხარს ამერიკის ავრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ვიეტნამელი ხალხის სამართლიან საქმეს. საბჭოთა კავშირი მიესალმება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სერიოზულ და კეთილი ნებით აღსავსე პოზიციას ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების შესახებ, გადაჭრით უჭერს მხარს ვიეტნამის მხარის მოთხოვნას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ, რომ ამერიკის მხარის მიერ შეჭნილი დაბრკოლებანი აღნიშნული შეთანხმების დადგის გზაზე აღმოიფხვრას და რომ უახლოეს ხანში ბოლო მოეღოს ომს, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააჩაღეს თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. (საკ. დესი).

## კონფერენცია — სსრ კავშირის 50 წელი

**16 ნოემბერს** მოსკოვში დამთავრდა სრულიად საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია „სსრ კავშირის 50 წელი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა“. კონფერენცია მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ და უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან ერთად.

სამ დღეს კონფერენციის პლენარულ და სექციურ სხდომებზე მოისმინეს ასზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია, რომლებიც გაანალიზეს ეროვნული კითხვის ლენინური ფორმულირების ისტორიული მნიშვნელობა, ეროვნული ურთიერთობების ლენინური პრინციპების ბედნიერი განხორციელება ჩვენ ქვეყანაში, ეროვნული ურთიერთობების ლენინური ფორმულირების ეფექტურობა

## პარტიული ცხოვრება

# კომუნისტი მოიცვეს პარტიულოში

### ქარტორგანიზაცია ევზაღება ქარტიული დოკუმენტების შეცვლისათვის

ბარტიულოს მდივნის სამუშაო ოთახის შესასვლელში კომუნისტი მჭსალავი ციალა გოგიბერაშვილი თავის რიგს ელოდებოდა. იგი რატომღაც ღელავდა. სამოდე თვის წინათ განცხადებით მიმართა ფაბრიკის დირექციას, ჩვილბავშვიანი ვარ, ეთხოვთ სამუშაოდან გამათავისუფლოთო. ისე მოხდა, რომ პარტბიუროს მდივანი ადგილზე არ იმყოფებოდა და ციალას განცხადება დაიმაყოფილეს. მის შემდეგ იგი პარტიულ ორგანიზაციაში არ გამოცხადებულა.

და აი ახლა მისი მღელვარება საგსებით ცხადი იყო.

ციალას ჯერიც დადგა, ოთახში ფეხათრევით შევიდა.

— გამარჯობათ — მისალმება მდივანმა დაასწრო.

— ჩემი ბრალია, ერთხელაც ვერ მოვახერხე პარტბიუროში შემოვლა... — საყვედური აღარ დაიცალა მდივანს და თვითონვე დაიწყო, — ჩემი პატარა ჭირვეული გამოდგა, ერთი წუთითაც თავიდან არ მიცილებს, რა ვქნა, არ ვიცი.

პარტბიუროს მდივანს გაეღიმა.

— ყველა პატარა ბავშვი ჭირვეულია, მაგრამ კომუნისტს ამან ხელი როდი უნდა შეუშალოს, თავისი პარტიული მოვალეობა რომ შეასრულოს. თქვენთან ახლოს სპბავშვო ბაღი არის?

— არის.

— სხვა თქვენს ადგილზე სამუშაოსაც არ მოწყდებოდა, ბავშვს ბაღში მიიბარებდა, თავის მოვალეობას პირნათლად მოიხდიდა მშობლიური საწარმოსა და ორგანიზაციის წინაშეც. სხვაც არა იყოს რა, ხომ იცით, მუშახელი როგორ გვეჭირს...

საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. პარტბიუროს მდივნის რჩევა კომუნისტმა მიიღო. იგი მალე ერთცვლიან სამუშაოზე ფაბრიკას დაუბრუნდა და ამ გადაწყვეტილებამ ბევრი ეჭვიანი ადამიანი, პარტბიუროს, კომუნისტები აქტიურად შეუდგნენ კოლექტიურად შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

პარტბიუროს წევრები, მისი მდივანი ა. სამხარაძე პირადად ესაუბრებიან ცალკეულ კომუნისტებს, აზუსტებენ მათს ანკეტურ მონაცემებს, მუშაობის ყოველ უბანზე მოითხოვენ კომუნისტების ავანგარდული სამქმიანობის ღონის ამაღლებას.

გამოირკვა, რომ კომუნისტი ქალები ლ. ჩიბლაძე და ვ. კაკაურიძე გათხოვდნენ, საცხოვრებლად სხვა ქალაქსა და რაიონში გადავიდნენ და პარტიული აღრიცხვა ადგილობრივ პარტორგანიზაციებში გადასცეს. ეს ორივე ინჟინერია ბოლოს ამ ოთახის მაუდის ფაბრიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ა. სამხარაძე), რომელიც თავის რიგებში პარტიის 184 წევრსა და პარტიის წევრობის 4 კანდიდატს აერთიანებს, დროულად განიხილეს პარტიული დოკუმენტების გადმოცვლასთან დაკავშირებით მზად დების საკითხი. კრებაზე ბევრი კრიტიკული შინაარსი გამოითქვა შინაპარტიულ და მასობრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში ნაკლოვანებათა გამო:

— კომუნისტების ერთი ნაწილი, პირველ რიგში პეტნინეულები და დიასახლისები, მათი რიცხვი კი ორმოცდაათზე მეტია, ჩამოცილებულია ორგანიზაციულ მუშაობას, ზოგიერთი პარტიულ კრებასაც აცდენს, ზოგიც თავს არიდებს პარტიული დავალების შესრულებას:

— საჭიროა გაიზარდოს კომუნისტების აქტივობა ახალი ხუთწლედით დასახულ ამოცანათა შესრულებაში;

— პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს უკლებლივ ყველა კომუნისტის ჩაბმა პარტიულ-ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობაში.

კრებამ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების უზრუნველსაყოფად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, პარტბიუროო, კომუნისტები აქტიურად შეუდგნენ კოლექტიურად შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

პარტბიუროს წევრები, მისი მდივანი ა. სამხარაძე პირადად ესაუბრებიან ცალკეულ კომუნისტებს, აზუსტებენ მათს ანკეტურ მონაცემებს, მუშაობის ყოველ უბანზე მოითხოვენ კომუნისტების ავანგარდული სამქმიანობის ღონის ამაღლებას.

გამოირკვა, რომ კომუნისტი ქალები ლ. ჩიბლაძე და ვ. კაკაურიძე გათხოვდნენ, საცხოვრებლად სხვა ქალაქსა და რაიონში გადავიდნენ და პარტიული აღრიცხვა ადგილობრივ საწარმოში სთარეულს. იაკობ ქელარჯიანი, ნიკოლოზ ზაქარიაძე და სხვები პერიოდულად ესაუბრებიან ახალგაზრდა კომუნისტებს, უბიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პარტიული ორგანიზაცია აწყობს მუშათა ახალი თაობის შეხვედრებს ძველ მუშებთან.

ახლებურად, ახალი ამოცანების შესაბამისად ეწყობა იდეოლოგიური მუშაობაც. მომხსენებლთა ჯგუფისა და პოლიტინფორმატორთა სიუჟეტების თემატიკა შეიცვალა ისეთი თემებით, როგორიც არის „პარტიის წევრის უფლება-მოვალეობანი“, „პარტიული ბილეთი“, „ლენინური პარტიის წევრობა გვავალებს“... და ა. შ.

ჭიკინაძემ, მიხეილ იმედაძემ, ელეკტრომონტიორმა უშანგი ჭელიძემ და სხვებმა 7-8 დღის სამუშაო ოთხ დღეში შეასრულეს. ახლა სამამულო წარმოების უფანგავი ლითონისაგან დამზადებული შესაღებავი აპარატები გამართულად მუშაობენ. ამატა პროდუქციის რაოდენობამ, და, რაც მთავარია, ამაღლდა მისი ხარისხი.

ამავე განყოფილებაში თავს იყრიდა და დიდი რაოდენობით ხვავდებოდა პროდუქციის ნარჩენები, იგი საწარმოო ფართობს იკავებდა. ამასთან გამოუყენებელი იყო. ქვეოსტატების კომუნისტების მამია ნიკარაძის, ანდრო ხვედელიძისა და სხვების ინიციატივით აქ დაიდგა ორიგინალური წნები, რამაც მოაწესრიგა ნარჩენების შეფუთვისა და დახარისხების საქმე. უკვე დანიშნულებისამებრ ჩაბარდა 3.200 კილოგრამი ნარჩენი და მოგების ყუდლაბას 645 მანეთი შეემატა.

ასეთი მაგალითები კი აქ ბევრია. ეს ხელს უწყობს ხუთწლედის დავალებათა შესრულებას. ვასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა 7,1 პროცენტით გაიზარდა, გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის 10 თვის დავალება, ეკონომის ზეკით რეალიზებულია ათიოდ ათასობით მანეთის პროდუქცია.

პარტიული დოკუმენტების შეცვლასთან დაკავშირებით მოსამზადებელი მუშაობა თანდათან უფრო გაცხოველდა. პარტიული ორგანიზაციის კომუნისტების ყურადღება ახლა იქცევენ არის მიქცეული, რომ მხედველობიდან არ გამორჩეთ არცერთი „წვრილმანი“, თუმცა ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეში „წვრილმანი“ არ არსებობს. ყველა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხი თავის დროზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

**დ. ბედენიძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

## კომუნისტთა დასასმენად




# ბალის რისხვა

### საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობანი ნათლად ჩანს ვანის რაიონის სოფელ ბზვანის კოლმეურნეობის საქმიანობის შედეგებით.

აქ ბევრი მოწინავე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. კოლმეურნეები საკოლმეურნეო შრომით შეგნებულად და კულტურულად ცხოვრობენ.

საშუშაროდ, შრომისმოყვარე პატარასანი ადამიანების გვერდით აქა-იქ კიდევ ერთიანი [illegible] ბერები, რომლებიც თავს აჩიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, არცხვენენ მშობლიური სოფლის სახელს და ამით ფეხქვეშ თელავენ სოფლის პატიოსან მშრომელთა ღირსებას. ეს უპატიოსნო ადამიანები ზორეული ქალაქების ბაზრებში დახლებთან დგანან და სხვისი შრომით მოყვანილი პროდუქტებით სპეკულაციას ეწევიან. ასეთმა ადამიანებმა ნამდვილად დაკარგეს მშრომელი ადამიანის სახე.

სწორედ მათ მიმართ ხალხის გულისწყრომა და რისხვა იგრძნობოდა ამას წინათ ვანის რაიონის სოფელ ბზვანის სასოფლო ყრილობაზე, რომელიც მიეძღვნა ხუცუბნელთა თაოსნობის განხილვას.

სასოფლო ყრილობა გახსნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. აბრამიძემ. მოხსენებით გამოვიდა ბზვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ხოხელიძე.

მომხსენებელმა ყრილობის მონაწილეებს მოუთხრო ამაზე, თუ კოლმეურნეთა მრავალი წლის დამკვრელურმა შრომამ როგორ შეუცვალა სოფელს. ამავე დროს აღნიშნა, რომ, სოფელში არიან ადამიანები, რომლებიც გაუბრძანან საკოლმეურნეო შრომას, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, არცხვენენ სოფელს და შემოსავლის წყაროდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაცია აუჩრიეთიათ. ესენი არიან ა. გიორგაძე, ა. დვალიშვილი, ჯ. რიკამაძე, ა. ხოხელიძე, რომლებიც ეწეოდნენ დაფინა და ღვინის სპეკულაციას. წელს ო. დვალიშვილმა ჭ. ალორაში სპეკულაციის მიზნით წაიღო მსხალი და სხვა პროდუქტები.

რიცა კოლმეურნეობამ ჯ. ხოხელიძეს, პ. გაფრინდაშვილს, ა. ტყეშელაშვილს, შ. მეკვანაძეს მოსთხოვა მონაწილეობა მიეღოთ საკოლმეურნეო შრომაში, ისინი სოფლიდან გაიპარნენ, ასეთი პირები რატომ უნდა სარგებლობდნენ კოლმეურნეობის სიკეთით?

სოფელში ჯერ კიდევ არიან ისეთი პირები, რომლებიც გვარცხვენენ, ეწევიან წვრილმან ხულიგნობას, ქურდობას. ესენი არიან მ. მეხი, ა. ტყეშელაშვილი, ისინი მიცემული არიან პასუხისგებაში.

სოფელში შექმნილია საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ყველა პირობა, — თქვა სიტყვით გამოსულმა ბზვანის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ტყეშელაშვილმა, — საკოლმეურნეო შრომით სოფელში ხალხი ბედნიერად, შეძლებულად ცხოვრობს და ასეთ პირობებში ყოველად შეუწყნარებელია, რომ ჩვენს გვერდით იყოს ვინმე, რომელიც სხვისი შრომით მოყვანილი პროდუქტებით სპეკულაციას ეწევა და გვარცხვენს, სახელს უტეხდეს სოფელს, რაიონს. ასეთ პირებს ყველა გზა უნდა დაეტაშოთ, მან წინააღმდეგ უნდა მივიღოთ უმკაცრესი ზომები.

ვანა სირცხვილი არ არის, — თქვა კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ე. თელიძე. — ბზვანის პატიოსანი მშრომელი ადამიანის გვერდით იყოს ისეთებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სპეკულაციას ეწევიან? ჩვენი სოფლის მცხოვრებლებმა შ. ხელაძემ, ო. დვალიშვილმა და შ. ხოხელიძემ მიმდინარე წელს რუსპუბლიკის გარეთ ღვინო და დაფინის ფოთოლი წაიღეს და იქ მაღალ ფასებში ჰყიდნენ. მათ სანელი გაუტეხეს სოფელს, რაიონს. უნდა ვამბილოთ ასეთი პირები, შევაჭნათ დამანაგვანთ მეპატიო საოჯახეულთაო შეუწყნარებლობის ატმოსფეროო.

ჩვენს რიგებში შეუწყნარებელი არიან მუქთახორეები, სპეკულანტები, ლოთები და საზოგადოებრივი წესრიგის სხვა დამრღვევები, თქვეს სიტყვით გამოსულებმა — მეცხოველეობის ფერმის მუშამა ო. ტყეშელაშვილმა, კოლმეურნემ რ. ხარაბაძემ, ბზვანის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ო. ნოსელიძემ, კოლმეურნემ გ. ცაგარეიშვილმა, ბრიგადირმა ს. ჩხაიძემ, მოწიავე შეიოსტნემ მ. გაბუნიამ და სხვებმა. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას და გადაწყვიტეს მათი მაგალითისამებრ ულმობელი ბრძოლა გამოუცხადონ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ყოველნაირ ღარღვევებს და ბზვანი გადააქციონ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის სოფლად. ამასთან სსრ ქალაქის ნახიჩარსუტუნოვან იუბილეამდე დარჩენილ დღეებში ამუშაონ ისე, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყაროონ 1973 წლის უნგ მოსავალს, ვადაზე ადრე შესასრულონ კოლმეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, უფრო მეტი რაოდენობით აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

**შ. ჭობუა,**
**„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.**

## ხუცუბნელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად

# ბალის რისხვა

### საზოგადოებრივი მეურნეობის

# გულითადი შეხვედრები

### მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლები თბილისში

მესამე დღეა თბილისში გრძელდება საქართველოს დედაქალაქის მრრომელთა გულთბადი შეხვედრები სტუმრებთან, მოსკოვისა და ტალინის მშრომელთა წარმომადგენლებთან — მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქების დღეების მონაწილეებთან. გულთბილად მასპინძლობენ კალინინის რაიონის სამრეწველო საწარმოები, უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები მოძმე ქალაქების წარმოგზავნილებს.

დიდი ინტერესით იხმენენ რაიონის მრრომელები გამოსვლებს, რომლებშიც დელეგაციათა წევრები აშუქებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგიეტ მეგობრობას, წარმატებებს, რომლებითაც ეგებებიან მოსკოველი და ტალინელი მშრომელები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და ესტონეთის სს რესპუბლიკის კულტურის, ეკონომიკის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას.

სტუმრები გაეცნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, შეხვდნენ მუშებს, მეცნიერებს, პარტიულ მუშაკებს.

გულთბილი შეხვედრა მოუწყო სტუმრებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კოლექტივმა. მათ მიიღალმა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ჭავჭანიძე. ინტერესით შეხვდნენ მოსკოვისა და ტალინის დელეგაციათა წევრების, მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის სექტორის გამგის, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ო. ა. ლუბუსის გამოსვლებს, რომლებმაც დამსწრეთ უამბეს რუსეთის სფს რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, ესტონეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პრობლემების შესახებ.

მოსკოველი და ტალინელი სტუმრები ეწვივნენ თბილისის უძველეს საწარმოს — სამტრესტის № 1 ღვინის ქარხანას. საწარმოს დირექტორმა ნ. ჟღენტმა მათ გააცნო ქარხნის ისტორია, მშრომელთა წარმატებანი. დასასრულ სტუმრებმა დაათვალიერეს ღვინოების კოლექცია, რომელშიც 150 ათასი ბოთლია ღვინოა.

გულითადად შეხვდნენ მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლებს სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკები, თბილისის № 43 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

17 ნოემბერს მოსკოვისა და ტალინის მშრომელთა წარმომადგენლები მიიღო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გ. გილაშვილმა.

ამხ. გილაშვილი გულითადად მიესალმა სტუმრებს, გააცნო მათ საქართველოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა მადლობა გადაიხადეს სტუმართმოყვარეობისა და გულთბილებისათვის, რასაც უწევენ მათ საქართველოს დედაქალაქის მშრომელები.

მიღებას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. ტ. რეგე

# ქომუნისტი

ორგანო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

ბიბლიოთეკა


## დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა

**ვარშავა, 16 ნოემბერი. (საკდესი).** დღეს ვარშავიდან სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. შელეპინის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა პოლონეთის პროფკავშირთა VII ყრილობის მუშაობაში.

## კარიზი თათბირის მონაწილეთა პრეს-კონფერენცია

**17 ნოემბერი. (საკდესი).** ომის შეწყვეტა და მშვიდობის აღდგენა ვიეტნამში ახლა დამოკიდებულია ომაზე, თუ როდის შეასრულებს ამერიკის შეერთებული შტატები ნაკისრ ვალდებულებებს და როდის მოაწერს ხელს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლთა შორის მიღწეულ შეთანხმებას, ბაზგასმით აღნიშნა პარიზში განათავსებულ პრეს-კონფერენციაზე ვიეტნამის შესახებ ოთხმხრივ მოლაპარაკებაზე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის წარმომადგენელმა ლე ვან საომ. მან თქვა, რომ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა დელეგაციის წარმომადგენელმა ლე ვან საომ. მან თქვა, რომ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ეროვნული საბჭოს აქ მთავრებული ყოველწლიური ყრილობის მონაწილეებმა.

ყრილობაზე, რომელშიც მონაწილეობდა ამერიკის წამყვანი ფირმების 2.000-ზე მეტი წარმომადგენელი, განიხილეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის საქმიანი კონტაქტების განვითარების პრობლემები. ყრილობაზე გამოსულნი, აბრაკოლებს შშეიდობიან მოწესრიგებას.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები დაბეჯითებით მოითხოვს მოეწყოს ორივე მხარის სრულუფლებიან წარმომადგენლთა კიდევ ერთი შეხვედრა. კეთილ ნებასა რომ იჩენს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა დათანხმდა მოეწყოს ასეთი შეხვედრა, განაცხადა ნგუენ თხან ლემ. მან თქვა, რომ 17 ნოემბერს პარიზში ჩამოდის პარიზის მოლაპარაკებაზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სპეციალური მრჩეველი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლე დუკ თხო, რომელიც შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერს.

## ეროვნულ-საყრელი ნიუ-იორკი ვაჭრობა

**16 ნოემბერი. (საკდესი).** საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისადმი უდიდესი ინტერესი გამოიჩინეს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის ეროვნული საბჭოს აქ მთავრებული ყოველწლიური ყრილობის მონაწილეებმა.

ყრილობაზე დამთავრების გამო გამართულ საზეიმო დარბაზობაზე წაიკითხეს პრეზიდენტ რ. ნიქსონის მისასალმებელი წერილი. ჩვენი ახალი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, ხაზგასმულია წერილში, ვაჭრობის გაფართოების იმედის მომცემი ნიშანია.

## კუბის მთავრობის განცხადება

**16 ნოემბერი. (საკდესი).** კუბის რევოლუციურმა მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება კუბაში ამერიკული თვითმფრინავების გატაცების შემთხვევათა გამო.

კუბის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, მზად არის გადადგას სერიოზული და სასწრაფო ნაბიჯები აღნიშნულ პრობლემასა შეთანხმების დასადებად, თუ ამასვე მოისურვებს ამერიკის შეერთებული შტატები.

შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნას, რომ გადასცეს 12 ნოემბერს კუბაში წაყვანილი ამერიკული თვითმფრინავის გატაცელები, კუბის მთავრობამ აღნიშნა, რომ არ შეუძლია გადაწყვეტოს ეს საკითხი ცალმხრივად, თუ ანალოგიურ ვალდებულებებს არ იკისრებს შეერთებული შტატები. განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ანტიკუბური კონტრრევოლუციური ჯგუფები ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიიდან ყაჩაღურად ესხმიან თავს კუბის დასახლებულ პუნქტებსა და კუბელ მებაჯურებს. ამერიკის გემები არღვევენ კუბის ტერიტორიულ წყლებს, რათა უკანონოდ გადაიყვანონ შეერთებული შტატებიდან კუბაში ძირგამომფხვრელი ელემენტები.

კუბის რევოლუციურმა მთავრობამ იმედი გამოთქვა, რომ შესაძლებელია მოამზადონ ისეთი შეთანხმება, რომელიც გაითვალისწინებდა თვითმფრინავებისა და გემების გატაცების წინააღმდეგ, აგრეთვე კუბის ტერიტორიაზე მტრულად განწყობილი ელემენტების უკანონოდ გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, ასეთი შეთანხმება, ნათქვამია კუბის მთავრობის განცხადებაში, შეიძლება მომზადდეს შეეიკარის ბაკანის საელჩოს შუამდგომლობით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს წარმოადგენს.

ვაშინგტონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). კუბის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ გადადგას ნაბიჯები თვითმფრინავების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე შეთანხმების დასადებად, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჩ. ბრეიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატებს შეეძლო შთაბეჭდილება ამ საკითხზე მოლაპარაკების მოწყობის შესაძლებლობის შესახებ.

ამასთან სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა ასეთი შეთანხმების მიღწევის „სირთულეები", რომლებიც, მისი თქმით, გამომდინარეობენ კუბის მთავრობის წინადადებიდან იმის შესახებ, რომ შეწყდეს ანტიკუბური ელემენტთა უკანონო გადაყვანა ამერიკის შეერთებული შტატებიდან კუბაში.

## არჩევნების წინ რაინზე

### წერილი ბონიდან

**უ**ჩვეულო სახე მიიღეს შემოდგომის ამ ნოემბრის დღეებში დასავლეთ გერმანიის ქალაქებმა და სოფლებმა. ფეიერდა ითქვას. ყოველ ნაბიჯზე ქუჩებში და მოედნებზე გამოდულნი ხვდებიან ფერად-ფერად ფარებსა და პლაკატებს მოწოდებებით: ხმა მიეცით ამა თუ იმ პარტიასო. 19 ნოემბერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართება ბუნდესტაგის — პარლამენტის ქვედა პალატის ვადამდე არჩევნები.

კონსტიტუციის თანახმად პარლამენტის მორიგი არჩევნები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მომავალი წლის შემოდგომაზე უნდა გამართულიყო. მაგრამ არჩევნები ეწყობა ერთი წლით ადრე ბუნდესტაგში შექმნილი ეგრეთ წოდებული „საპარლამენტო ფათის", ე. ი. მმართველი პარტიების — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის და ოპოზიციური — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის დეპუტატთა მანდატების თანაბარი რიცხვის გამო. ამან შეიძლება ახლანდელი პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობა, მსგავსი კაპიტალის პარტია — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი (ადენაუერი) ადგილზე ამოიჩიჩინოს შეეძლოს ლი ... ... ...

# საქართველოს ზღვა-ბაგრში

## „ქართული ფილმი“ წლინახევრის მანძილზე

**17 ნოემბერს** თბილისში გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, რომელმაც განიხილა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ 1971 წლისა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ნამუშევრები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ.

მომხსენებელმა — დრამატურგმა გ. ხუხაშვილმა ვრცლად განიხილა ცხრა ახალი კინოფილმი, ხაზი გაუსვა გასული წლის ისეთი ფილმების წარმატებას, როგორიც არის შ. და ნ. მანაგაძეების „წუთისოფელი“, თ. აბულაძის „სამკალი სატრფოსათვის“, ოლეგარა ალრთიანის შემოქმედებითს წარუმატებლობაზე, აღნიშნა მათი მიზეზები.

პლენუმზე გამოვიდნენ მუტიპლიკაციონერი რეჟისორი შ. 



ეიანიშვილი, კინოკრიტიკოსები გ. დოლიძე, ო. სეფიაშვილი, ა. წარეთილი, რ. თიკანაძე და სხვები.

საერთოდ, აღნიშნეს პლენუმის მონაწილეებმა, გასული წელიწადნახევარი კინოსტუდია „ქართული ფილმისათვის“ ნაყოფიერი იყო.

(საქინფორმი).

## სანაოსნოს ხომალდი შეემატა

**ბათუმი.** (საკ. კორ). საქართველოს საზღვაო სანაოსნო ბოლო დრომდე მხოლოდ ტანკერებით იყო დაკომპლექტებული, რომელთაც ნავთობ-პროდუქტები გადაჰქონდათ. სანაოსნოს ზრდასთან ერთად ნაწილობრივ შეიცვალა მისი პროფილი. დღის წესრიგში დადგა მშრალი ტვირთის გადაზიდვის აუცილებლობა, მოკლე დროში სანაოსნომ ორი მადანსაზიდი ხომალდი მიიღო. ახლახან ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა მშრალი ტვირთის მესამე ხომალდმა „მიხა ცხაკაიამ“, რომელიც პოლონეთის ქალაქ შჩეცინის გემთსაშენში აეგეს.

გემი უახლესი სანავიგაციო მოწყობილობით არის აღჭურვილი, მისი სიგრძე 200 მეტრს აღწევს, წყალწყვა — 32 ათას ტონას, სიჩქარე — 15 საზღვაო კვანძი.

გემის კაპიტანია შორი ნარსნობის გამოცდილი ზღვაოსანი ლ. მხატვარი, კაპიტნის უფროსი თანაშემწეა ს. მიქელაძე, მეორე თანაშემწე — თ. ბხეიძე. ხომალდი ძირითადად ქართველი ზღვაოსნებით არის დაკომპლექტებული.

*შემთხვევა რეჟისიორზე*

## მემანქანის სიფხიზლე

**შაან** დარჩა ქალაქი-კურორტი სოხუმი და სამგზავრო მატარებელმა თანდათან მოუმატა სიჩქარეს. მემანქანე ტარასი ქიქავასათვის ამ რეისში ყველაფერი ჩვეულებრივი იყო. მან კარგად იცოდა, რასაკვირველია, გზის პროფილიც და ახალი, სამგზავრო მატარებლების წასაყვანად განკუთვნილი ელმავლის სიმძლავრეც, და გულდაჯერებით მიჰყავდა შემადგენლობა ზღვრულად დაშვებული სიჩქარით — 100 კილომეტრით საათში.

მოულოდნელად ტამიშ-ოჩამჩირის გადასარბენზე, უფრო ზუსტად 2149-ე კილომეტრის მეექვსე პიკეტთან მემანქანემ კაბინაში ოდნავ შესამჩნევი ცალმხრივი ვიერდილი ბიძგი იგრძნო. იმავე წამს ჭახუნიც მოესმა.

ასეთი ბმა რელსის კუთხეებზე მხოლოდ გოგორწყაველების მკვეთრ დარტყმას შეიძლებოდა გამოეცა, და მემანქანემ მყისვე მოსწია საგანგებო დამუხრუჭებლონკანის სახელური, გამოცდილებამ და ოსტატობამ, ელექტროტექნიკის უნაკლოდ ცოდნამ მექანიკოს-მემანქანეს საშუალება მისცეს ისე შეენელებინა სვლა, რომ მგზავრებს არც კი შეუტყვიათ, თუ რა საფრთხე ელოდათ.

ზუსტად გრაფიკის მიხედვით მივიდა იმ ღამეს სოხუმი-თბილისის № 245 მატარებელი ოჩამჩირის სადგურში. სამი წუთის შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების დისპეტჩერმა სოხუმის საკოკომოტივო დეპოს უფროსი მემანქანის კომუნისტ ტ. ქიქავას პატაკის საფფქველზე გადასცა მითითება, რომ ყველა მატარებელს ფრთხილად გაივლო ტამიშის გადასარბენი. იმავე ღამეს ოჩამჩირელმა მელიანდაგეებმა სალიანდაგო სამსახურის უფროსის მოადგილის გ. ჩიქოვანის მეთაურობით დაადგინეს იქ სალიანდაგო მეურნეობის ავარიული მდგომარეობა. წინა დღის კოკისპირული წვიმების შედეგად რკინიგზის ეკიპი დამჯდარიყო. თუ არა მემანქანე ქიქავას მდიდარი გამოცდილება, მისი პროფესიული სიფხიზლე, ამ მონაკვეთზე დიდი სიჩქარით მიმავალი მატარებელი შეიძლება გადავარდნილიყო.

...სიფხიზლე იმითთვის, ვისაც მატარებლები დაპყავს, ისეთი ნიშანთვისებაა, რომელიც საგმირო საქმეს წარმოშობს და გმირობის დარია.

**თ. ჯიბუტი,**
(საქინფორმის კორ.).



## აშენდება ფესტივალი

### მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პროექტის კონკურსის შედეგები

**ფიურიმ,** ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, საქართველოს სსრ სახმწიფოს თავმჯდომარის ი. ციციშვილის თავმჯდომარეობით განიხილა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის პროექტები, რომლებიც წარმოდგენილი იყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, სახმშენისა და რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის მიერ მოწყობილ კონკურსზე.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია მიეკუთვნა თბილისელი არქიტექტორების რ. კიკნაძისა და გ. მეტრეველის პროექტს. მათ შეძლეს წარმოედგინათ მომავალი შენობის ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტა, რომელზეც სვანური ნაგებობათა განუმეორებელი კოლორიტი მოხერხებულად ერწყმის თანამედროვე არქიტექტურულ სტილს.

მეორე პრემია ჟიურიმ არვის არ მიაკუთვნა.

ორი მესამე პრემია მიიღეს არქიტექტორების გ. ჯანბერიძისა და გ. ბოკერიას მიერ შედგენილმა პროექტებმა.

წამახალისებელი პრემია დაიმსახურა არქიტექტორ კ. მემანიშვილის პროექტმა. (საქინფორმი).

**სურათზე:** კონკურსში გამარჯვებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პროექტი, რომლის ავტორები არიან არქიტექტორები რ. კიკნაძე და გ. მეტრეველი.

მ. დათიკაშვილის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# შეხვედრები პოლონეთში

### ერთვნული ბიბლიოთეკა

### გარდაბნის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი — საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი

**გარდაბნის** რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ წარადგინა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. ხალხური შემოქმედების მე-5 საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. ანსამბლი დიდი პასუხისმგებლობით მოემზადა პოლონეთში ფესტივალზე გამოსვლისათვის (ხელმძღვანელები მ. ბაკრაძე და ქორეოგრაფი ზ. გოგიჩაიშვილი).



პოლონელმა მეგობრებმა გულთბილად მიგვიღეს. ხალხური შემოქმედების ფესტივალი ტრადიციულად ქ. ზაკოპანეში გაიმართა, სადაც 16 სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჟიურის გადაწყვეტილებით საპატიო ადგილები „ზოლოტაია რუპაგა“, „გრან პრი“, „ტარნის მთიელთა ყავარჯენი ნაჯახით“ გადაეცა საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს და იგი გახდა მთის რაიონების სახალხო შემოქმედების მე-5 საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი.

შემდეგ გავეშურეთ ქ. ვარშავაში, სადაც ეწყობოდა გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს“ იუბილე და მონაწილეობა მივიღეთ საიუბილეო კონცერტში.

აი რას წერდა „ტრიბუნა ლიუდუ“: დღესასწაულს თავისებური საზეიმო ელფერი შემატა საქართველოს სსრ ხალხური შემოქმედების ანსამბლის გამოსვლამ. ქართველ მსახიობთა მდიდარ რეპერტუარში ხალხური სიმღერები და შესანიშნავი ცეკვებია. ყველაფერი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს“.

ვარშავიდან ზელენოგურაში გავემგზავრეთ, სადაც ეწყობოდა მეექვსე ნახევთა ფესტივალი. აქაც დიდი წარმატებით გამოვედით და მივიღეთ „მაყურებელთა პრიზი“.

„პაზეტა ზელონოგურსკამ“ დაბეჭდა წერილი სათაურით „ქართული ანსამბლის უდიდესი წარმატება“. „ქართული ანსამბლის გამოსვლა, — წერდა გაზეთი, — განსაცვიფრებელი იყო და დაგვიპყრო ბალეტი საინტერესო პროგრამით, შესრულების სრულყოფილებით...“

ჩვენმა ანსამბლმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 12 ქალაქში 18 კონცერტი გამართა. ყველგან დიდი მოწონება და აღიარება იყო ჩვენი მეგზური.

ეს საპატიო გამარჯვება მომავალი შემოქმედებითი წარმატებების მოპოვებისათვის გვიბიძგებს.

**ა. ბასილაია,**
გარდაბნის მწრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.

**სურათებზე:** მარცხნივ — ხალხური შემოქმედების მე-5 საერთაშორისო ფესტივალის ემბლემა; მარჯვნივ — გამოდიან გარდაბნის თვითმოქმედი ანსამბლის მოცეკვავეები.

### დრამატურგის შენიშვნები

**ეროვნულ** კავშირის პლენუმზე, რომელიც მოწვეული იყო „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახილველად, ბევრი რამ ითქვა იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი თეატრალური კრიტიკა, ზოგჯერ თუ როგორ ტულსრულობას იჩენენ ჩვენი კრიტიკოსები ახალი დრამატურგიული ნაწარმოებების, ახალი სპექტაკლებისადმი, რომ წამყვანი თეატრების სპექტაკლებზეც ნაკლებად იწერება რეცენზიები, ხოლო რაც იბეჭდება, ისიც მეტწილად ზედაპირულია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ კრიტიკა მეტისმეტად დიდ მომთხოვნელობას იჩენდა ორიგინალური დრამატურგიისადმი. ფამდენმე წლის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა ჩვენი ცნობილი კრიტიკოსის ბესარიონ ჟღენტის ვრცელი და ფრიად საყურადღებო სტატია „მაღალი რანგის დრამატული მწერლობისათვის“.

ავტორი მოითხოვდა არ დაიდგას ჩვენს თეატრებში არამაღალხარისხოვანი პიესები, გზა შეგვეკრა მხოლოდ მაღალი რანგის დრამატულ მწერლობას. ეს ფრიად მნიშვნელოვანი აძოცანაა, აქეთკენ უნდა მიისწრაფოდეს ჩვენი დრამატურგია. მაგრამ თუ მხოლოდ ასეთი მკაცრი საზომით მივუდგებით საქმეს, ძნელია ჩვენი თეატრების უზრუნველყოფა ორიგინალური პიესებით.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თეატრალური საზოგადოების ყრილობაზე ზოგი ორატორი მოითხოვდა — სასამ არ გვექნება მაღალი რანგის დრამატურგია, დავდგამთ თარგმნილი ან ინსცენირებული პროზაული ნაწარმოებებიო.

ჩვენ ვფიქრობთ მეტისმეტად მცდარია ის მოსაზრება, თითქოს შეიძლებოდეს ქართული თეატრი ანსებობდეს თარგმნილი რეპერტუარით, რომ მაღალი რანგის დრამატურგიას ერთი ხელის მოსმით მივადწეოთ, მას წინ არ უძღოდეს ძიება, ექსპერიმენტი, თეატრისა და დრამატურგის ურთიერთკავშირი, ერთობლივი ბრძოლა მაღალი ეროვნული დრამატურგიისათვის.

ჯერ კიდევ დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი, რომლის აზრები მხატვრული ლიტერატურის და კერძოდ თეატრალური ხელოვნების შესახებ მუდამ თანამედროვე იქნება, ამბობდა: „რუსული თეატრი არ შეიძლება შეიქმნას უცხოური თარგმნილი რეპერტუარითო“.

მწერალმა ნ. გონჩაროვმა მხოლოდ იმის შემდეგ განაცხადა: „ჩვენ, რუსებს, ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს რუსული ეროვნული თეატრიო“, როცა რუსული რეპერტუარი მტკიცედ დამკვიდრდა რუსულ სცენაზე.

„ეროვნული თეატრი, — ამბობდა დიდი რუსი დრამატურგი ა. ოსტროვსკი, — ეს არის ერის სრულწლოვანების ნიშანი, ისე როგორც აკადემიები, უნივერსიტეტები“...

და ნუთუ ქართული საბჭოთა თეატრი, ჩვენი ერის სრულწლოვანების ეს ნიშანი, შეიძლება გამოისატოს უცხოური რეპერტუარის ასლების გადმოღებით ან ინსიცენირებებით!

ყოველდღიური რეპერტუარი ბელინსკის აზრით უნდა შედგებოდეს ორიგინალური პიესების დიდი რაოდენობისაგან, თუნდაც ისინი თავიანთი მხატვრული ღირსებით დაბალი იდგნენ ისეთ ნაწარმოებებთან შედარებით, როგორიც არის „რევიზორი“ და „ვაი ჭკუისაგან“.

„ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხელოვნების იდეური ჰორიზონტის გაფართოებას და მისი ოსტატობის დახვეწას. ავითარებს რა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ტრადიციებს, საბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრულმა კრიტიკამ ზუსტი იდეური შეფასება, ღრმა სოციალური ანალიზი უნდა შეუბამოს ესთეტიკურ მომთხოვნელობას, ტალანტისადმი, ნაყოფიერი შემოქმედებითი ძიებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას“.

ასრულებს ამ მოვალეობას ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა?

ნაყოფიერი შემოქმედებითი ძიებისათვის გულისხმიერი დამოკიდებულების ნაცვლად ზოგიერთი კრიტიკოსი ან დაუმსახურებლად ქებათაქებას უძღვნის უმნიაარსო, უღიმღამო, ფორალურად უმწეო სპექტაკლს ან დუმილს ირჩევს, როცა საჭიროა მსგავსი სპექტაკლის მკაცრი გაკრიტიკება.

რამდენიმე წლის წინათ საუბარი მქონდა რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან.

— რა პიესებს დგამთ უახლოეს ხანში? — გკითხე მას.

— ო, ჩვენი რეპერტუარი ამყამად ძლიერ მდიდარია, ბატაკენული ვართ ერთბაშად რამდენიმე პიესით. ეს პიესებია:

„ირკუტსკის ისტორია“ — არბუზოვისა, „ქალთა აჯანყება“ — სანდერმიესა, „სასტუმროს დიასახლისი“ — გოლდონისა, „შერისულნი“ — კალეგარისა; „მატყლარები“ — მარსელ კარნესი; „ზვიმის ბამყიდველი“ — ნიშისა; „ფესამე სურვილი“ — ბლაჟეკისა; „სასწაულმოქმედი“ — გიბსონისა.

ამდენმა უცხოურმა გვარებმა თავბრუ დამასხვეს....

„ეზოში ავი ძაღლია“ და „ამბავი სიკვარულისა“ რუსთაველის თეატრში წავიდა სამასჯერ, ხოლო სანდერბიუს „ქალთა აჯანყება“, როგორც აღვნიშნეთ, ორჯერ.

ბოლდინის „სასტუმროს დიასახლისი“ წავიდა რუსთაველის თეატრში მხოლოდ სამჯერ, ხოლო ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“ და ლეონ სანეიროის „ქეთათურები“ სამასჯერ. არცერთ თარგმნილ უცხოურ პიესას უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე არ ჰქონია ისეთი დიდი წარმატება, როგორიც აქვს ა. გელბაინის პიესას „წმინდანები ჯოჯოხეთში“. არცერთ თარგმნილ კომედიას არ მოუპოვებია ქართულ სცენაზე ისეთი დიდი პოპულარობა, როგორიც ჰქონდა მარიკა ბარათაშვილის „ჭრიჭინას“, მისეულ მრეკლიშვილის მართლაც რომ მაღალი რანგის პიესას „ხარაბაანთ ქერას“, გიორგი ნახუცრიშვილის „ფიროსმანს“, გ. ხუხაშვილის, ო. იოსელიანის, ა. ჩხაიანის, ა. აბილავას, თ. ჭილაძის პიესებს.

მუმატრალურმ ხელოვნების ენინი სტანისლავსკი ამბობდა: „მე მშურს, როცა დრამატურგს თავისი პიესა სხვა თეატრში მიაქვს“.. ეს იყო ეკეთილშობილური შური და როდი ნიშნავს „სხვა თეატრისადმი“ სიძულვილს. ეს მხოლოდ მოსაკოვის სამხატვრო თეატრისადმი მის საოცარ სიყვარულზე მიგვითითებს.

მაგრამ ჩვენ „ვკვდავს ზოგიერთი რეჟისორი, რომელთა ლოზუნგია: „ეს ბიესა ბევრ დრამატურგი! მე თვითონ ვარ დრამატურგიც და რეჟისორიც“...

ასეთი რეჟისორი გახლავთ, მაგალითად, პატივცემული ნინა ბატისკაცი, რომელმაც რუსთაველის თეატრში 10-15 წლის მანძილზე დადგა მხოლოდ სამი პიესა და სამივე თავისი გადმოკეთებულ-გადაკეთებულ-გადამარგნილი.

ყველაზე დიდი კურიოზული მოვლენა იყო მის მიერ საბა-სულხან ორბელიანის სიბრძნითა სავსე ოვაკარაკების ერთ ქვაბში „მოხარშვა“ და სპექტაკლის სახით წარმოდგენა. საბა-სულხანის სიბრძნითა დიდი ნაწილი რეჟისორმა აქცია უმიზნო ატრაქციონად.

კრიტიკა დუმილით შეხვდა სიბრძნეთა ამ დახურდავებას, ერთმა კრიტიკოსმა კი ათეო კალამი და ქებათა-ქება მიუძღვნა აღნიშნულ სპექტაკლს ავტორის საამებლად და არა სინანდვილის გასაცნობადებლად.

გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მცდარი ნაბიჯი, რომელმაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რა შემოქმედებითი პასუხისმგებლობაა საჭირო თარგმნილი პიესის შერჩევის დროს.

რეჟისორმა ლ. მირცხულავამ რუსთაველის თეატრში თავისი პირველი დადგმისათვის აირჩია არა ქართული ორიგინალური პიესა, არამედ თარგმნილი დრამა — მ. ბულგაკოვის „ფარისეველთა შეთქმულება“, რომელიც დიდი ფრანგი დრამატურგის მოლიერის ცხოვრებას ასახავს და რომელსაც რუსულ სცენაზე არ ჰქონია არავითარი წარმატება. ჯერ კიდევ 1936 წელს, სტანისლავსკის დროს დაიდგა ეს პიესა მოსკოვის სამხატვრო თეატრში. დიდ ხელოვნის სტანისლავსკის მიაჩნდა, რომ პიესა დაწერილია, „მხოლოდ ზავი საღებავებით“, რომ მასში მოლიერი ჩანს არა როგორც გენიალური დრამატურგი და ადამიანი, არამედ როგორც რიგითი ბდაბური მოქალაქე. სპექტაკლი უკვე შვიდი წარმოდგენის შემდეგ მოიხსნა სცენიდან.

ისმის კითხვა — რატომ იფიქრა ლ. მირცხულავამ, რომ ამ პიესას დიდი წარმატება ექნებოდა ქართულ სცენაზე? თუ საჭირო იყო მოლიერის ჩვენება, რატომ არ აირჩია, ვთქვათ, თვით მოლიერის რომელიმე პიესა? თუ კი ისტორიული თემით იყო გატაცებული, რატომ არ აირჩია, მაგალითად ირონ ვაკელის დიდი პატრიოტული შთაგონებით დაწერილი „რუსთაველი“, ან მისივე „გიორგი საკაძე“, რომლებიც რაც უნდა სუსტად დადგმულიყო, მაინც მეტი წარმატება ექნებოდათ, ვიდრე თარგმნილ ისტორიულ პიესებს.

„ანა დ' არკი“ და „მაია წყნეთელი“ თითქოს ვგანან ერთმანეთს — ანა იბრძვის თავისი სამშობლოს — საფრანგეთის კეთილდღეობისათვის, ხოლო მაია თავისი საქართველოს ბედნიერებისათვის.

რატომ ჭოდა, რომ მთელ მსოფლიოში ცნობილი „ანა დ' არკი ქართულ სცენას ვერ შერჩა, ხოლო ვალერიან კანდელაკის „მაია წყნეთელის“ დიდი წარმატება ჩვენს მაყურებლებს დიდხანს არ დაავიწყდებათ და იგი კიდევ მრავალჯერ დაიდგმება.

„ანა დ' არკი“ მარჯანიშვილის თეატრში ცუდი სპექტაკლი როდი იყო. მსახიობი სოფიკო ჭიაურელი ანა დ' არკის როლში გამოჩნდა როგორც უკვე თვალსაჩინო აქტიორული ღირსებით აღჭურვილი ოსტატი. მსახიობმა იმდენად თავისად გაბადა ანა დადგმის შემდეგ და ჩვენი ტელევიზია ხშირად გვიჩვენებს ამ სპექტაკლის შესანიშნავ ეპიზოდებს. პიესაში მეტად სხარტი, ნათელი სატირული თხრობითი ნაჩვენებია, თუ როგორ აპირებდა ერთი უსინდისო ადამიანი დაეცვა დისერტაციი და მოეპოვებინა მეცნიერის წოდება სხვისი ნაშრომით. ზოგმა კრიტიკოსმა ეს მიიჩნია ჩვენი სინამდვილის დამახინჯებად. პარტია კი ყოველთვის გვასწავლიდა და გვასწავლის, რომ „ლიტერატურისა და ხელოვნების მთავარი ამოცანაა არა მარტო შთამაგონებელი, ნათელი ასახვა ყოველიერ ამლისა, ნამდვილი კომუნისტური სინამდვილისა, არამედ ყოველივე იმის მხილებაც, რაც ხელს უშლის ჩვენი საზოგადოების წინსვლას“.

„თეატრი კვდება! უფრო მეტიც: იგი უკვე მოკვდა, მხოლოდ დაავიწყდათ მისი დასაფლავება“, — ეს, თეატრალური ხელოვნებისადმი უსაზიზღრესი, ბულის ამაზრზენი გრძნობით დაწერილი სტრიქონები დაბეჭდა ჟურნალ „ისკუსტვო კინოში“ 1962 წელს (№ 11).

ავტორი გვიჩვენებდა კინოხელოვნების შესაძლებლობათა დიდ უპირატესობას თეატრალურ ხელოვნებასთან შედარებით და ვარდაცვლილად აცხადებდა თეატრს.

თეატრისადმი ამ ზიზღით სავსე გამონათქვამმა გამოიწვია ზიზღი თვით ამ სტატიის ავტორისადმი. მე არ ვაპირებ ვიკამათო ამ საკითხზე. სათანადო პასუხი „თეატრის გარდაცვალების“ თეორეტიკოსებმა თავის დროზე მიიღეს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: თარგმნილი, უცხოური პიესებით და ინსიცენირებული მოთხრობებით თეატრის გადაკვეთრთვა თავისთავად მიიყვანს სიკვდილამდე თეატრის ეროვნულ სახეს.

ბელინსკი მოთხრობების პიესებად გადაკეთებას უწოდებდა „უნიკოთა ხელობას, რომლებიც თავისას ვერაფერს შექმნიან და სურთ იცხოვრონ სხვისი ტალანტით“.

დღეს ჩვენ ასე მკაცრი ვერ ვიქნებით თანამედროვე ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშების სცენაზე პიესის სახით გამოტანისადმი. უკანასკნელ წლებში ბევრს წაგებდა ქართული თეატრი, რომ არ დაედგათ ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი მოთხრობების ინსიცენირებები.

თავის დროზე გამოჩენილი, ნიჭიერი დრამატურგი ა. აფინოგენოვი სრულიად ასაღგაზრდა იყო, როცა თავისი ერთ-ერთი პიესა მიიტანა მოსკოვის სამხატვრო თეატრში. პიესა დაუყოვნებლივ წაიკითხეს, ავტორს შენიშვნები მისცეს. დრამატურგი ნაწყენი დარჩა და პიესა უკანვე წაიღო. დიდმა სტანისლავსკიმ ბოდიშის მსგავსი ბარათი მისწერა აფინოგენოვს. „თქვენ მართალი ხართ, ჩვენ შევცდით, მოიტანეთ პიესა“.

დრამატურგისადმი ამ ერთგვარმა „ქედის მოხრამ“ კიდევ უფრო აამაღლა ისედაც ცამდე მაღალი გენიოსი სტანისლავსკი.

როგორია დღეს თეატრის, დრამატურგისა და რეჟისორის ურთიერთობა?

დაგასახელებ ჯერჯერობით მხოლოდ ერთ მაგალითს. ჩვენს სახელოვან მარჯანიშვილის თეატრში დრამატურგმა ი. ეკალეს მიიტანა თავისი საკმაოდ ცნობილი კომედია „პარაკუნე ჭიმჭიმელი“. პიესა მიღებულ იქნა. რეჟისორჭა ს. მრევლიშვილმა ასტროსან შეუთანხმებლად შექმნა პიესის ახალი „ვარიანტი“, თითქმის გაანახევრა, ამოშალა რამდენიმე მოქმედი პირი. როცა ავტორმა ეს გაიგო, პროტესტი განაცხადა.

— მაშ არ გინდათ დაიდგას პიესა ჩემი ვარიანტით? კეთილი. პიესა აღარ დაიდგმება! — უპასუხა რეჟისორმა.

აი როგორია დღეს ზოგ შემთხვევაში დრამატურგისა და რეჟისორის ურთიერთობა. ამის შესახებ საუბარი ალბათ სხვა დროსაც მოგვიხდება.

**გენო ქელბაქიანი.**

*ჭადრაკი*

## ტურნირებზე...

**დღეს** სან-ანტონიოში (აშშ, ტეხასის შტატი) იხსნება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 18 გამოჩენილი გროსტმაისტერისა და ოსტატის მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირიდან ტურნირში ემბმეგბიან მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსანანი, ბ. კერესი და ა. კარპოვი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 21 წლის ა. კარპოვის მონაწილეობა, თუნდაც იმიტომ, რომ მას უკანასკნელ ეზოზში დიდი წარმატებები ჰქონდა. სან-ანტონიოში თამაშობენ ავრეთვე ბ. ლარსენი (დანია), ლ. პორტიშე (უნგრეთი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ს. ბლეიგორიჩი (იუგოსლავია), ჰ. მეკინგი (ბრაზილია) და სხვა გამოჩენილი გროსმაისტერები.

კვლავ ბუნდოვანია მსოფლიოს ჩემპიონ რ. ფიშერის მონაწილეობის საკითხი მის მიერ წამოყენებული ფინანსური მოთხოვნების გამო.

**ბოლოიანი.** 16 ნოემბერი. (სა-კადესის სპეც. კორ). მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა კოსტა ტლეოვამ ბელოვასთან გადადებულ პარტიაში. ახლა მას 6,5 ქულა აქვს და ნახევარი ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს. მეათე ტურის პარტიების დამთავრებისას ლევიტინამ მოუგო კისლოვას, სუიუნიამ — ბელეკოვს, სამოლმა — შჩერბინას, ოუბლოვამ — ანდერეევას. ყაიმში შეთანხმდნენ ეკმტეინ — მედიანიკოვა, ოუბლოვა-შული, მკრტიჩიან-სემენოვა. დაახლოებით თანაბარ პოზიციაში გადადგა ფილიპ-ბორისენკოს პარტია.

□

## ფეხბურთის ამგეები

**გაიმართა** მიუნხენის მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. ევროპას მეცხრე ჯგუფში, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები გამოდიან, დუბლინის გუშინწინდელი ნატჩის შემდეგ სამივე ქვეყნის — სსრ კავშირის, საფრანგეთისა და ირლანდიის გუნდებს ორ-ორი ქულა აქვთ და ახლა ყველაფერს მეორე წრის თამაშები გადაწყვეტს. როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელები 1973 წლის მაისში მიიღებენ ორივე მეტოქეს.

**გლაზგოში** შოტლანდიის ნაკრები მასპინძლობდა დანიელ გუნდს და სძლია მას 2:0. ეს შოტლანდიელთა მეორე გამარჯვებაა. ამ (მერვე) ჯგუფში გამოდიან ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები, რომლებიც ჯერ ასპარეზობაში არ ჩაბმულან.

**კარდიფში** უელსის გუნდმა მიიღო 1966 წლის ჩემპიონი — ინგლისის ნაკრები და დამარცხდა ანგარიშით 0:1. ეს იყო შეხვედრა ჯგუფის პირველი შეხვედრა. ეს გამოდიან ავრეთვე პოლონელები.

**დიუსელდორფი.** 4 ბურთი გაიტანა მეხიკოს მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირმა გერდ მიულერმა შვიციარიელთა კარში. 5:1 გერ-ის გუნდის სასარგებლოდ — აი, ამ ამბანაგური მატჩის შედეგი.

# თეატრი, რეპერტუარი, კრიტიკა...

**გავიდა** სამი თუ ოთხი წელი ამ საუბრის შემდეგ. თეატრის იმ ერთ-ერთ ხელმძღვანელს კვლავ შევხვდი. კვლავ ვისაუბრეთ თეატრზე, რეპერტუარზე....

რეჟისორ მ. თუმანიშვილს არ გამოუვიდა „ირკუტსკის ისტორია“ — ვუთხარი მე.

— ეს, „ირკუტსკის ისტორიამ“ ძალიან უნერხული ისტორიაში ჩაგვაგდო. მაყურებლები გულიანად შეიბღვნენ. მოსკოვში „სასტროლების დროს დაგვესწრო თვითონ პიესის ავტორი, სპექტაკლი არ მოვწონა.

რეჟისორ მ. თუმანიშვილს არ გამოუვიდა არც მეორე პიესა — „ქალთა აჯანყება“.

— თქვენ რომელი წარმოდგენა ნახეთ?

— მეორე.

— კარგად მოგისწრიათ. მესამედ აღარ წასულა.

— რეჟისორ მ. თუმანიშვილს არ გამოუვიდა არც „სასტუმროს დიასახლისის“.

— მერამდენე წარმოდგენა ნახეთ?

— მესამე.

— კარგად მოგისწრიათ. მეოთხედ აღარ წასულა.

— რა ბედი ეწია იმ ორ უცხოურ პიესას, რომლებითაც მგზნებარედ იყავით გატაცებული?

— სპექტაკლებამდე აღარ მივაღწევინეთ. ამოვიღეთ რეპერტუარიდან.

— როგორ მიიღო მაყურებელმა პიესები ნეშისა, ბლაჟეკისა, გიბსონისა.

— ეს პიესები დადგეს ასალაზრდა რეჟისორებმა ბ. კობასიძემ, რ. სტურუამ, ს. მრევლიშვილმა. სპექტაკლები ცუდი რიდი იყო.

—სწორია. მაგრამ მე არ მეგულება არც ერთი ქართული თანამედროვე საშუალო დრამატურგიული ნაწარმოები, რომელსაც ბევრად მეტი წარმატება არ ექნებოდა ჩვენს თეატრებში, ვიდრე „ჰქონდა“ ზემოდასახელებულ თარგმნილ პიესებს. მაგალითად, კიტა ბუაჩიძის პიესები „ეზოში ავი ძაღლია“ და „ამბავი სიკვარულისა“ რუსთაველის თეატრში წავიდა სამასჯერ, ხოლო სანდერბიუს „ქალთა აჯანყება“, როგორც აღვნიშნეთ, ორჯერ.

ბოლდინის „სასტუმროს დიასახლისი“ წავიდა რუსთაველის თეატრში მხოლოდ სამჯერ, ხოლო ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“ და ლეონ სანეიროის „ქეთათურები“ სამასჯერ. არცერთ თარგმნილ უცხოურ პიესას უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე არ ჰქონია ისეთი დიდი წარმატება, როგორიც აქვს ა. გელბაინის პიესას „წმინდანები ჯოჯოხეთში“. არცერთ თარგმნილ კომედიას არ მოუპოვებია ქართულ სცენაზე ისეთი დიდი პოპულარობა, როგორიც ჰქონდა მარიკა ბარათაშვილის „ჭრიჭინას“, მისეულ მრეკლიშვილის მართლაც რომ მაღალი რანგის პიესას „ხარაბაანთ ქერას“, გიორგი ნახუცრიშვილის „ფიროსმანს“, გ. ხუხაშვილის, ო. იოსელიანის, ა. ჩხაიანის, ა. აბილავას, თ. ჭილაძის პიესებს.

მუმატრალურმ ხელოვნების ენინი სტანისლავსკი ამბობდა: „მე მშურს, როცა დრამატურგს თავისი პიესა სხვა თეატრში მიაქვს“.. ეს იყო ეკეთილშობილური შური და როდი ნიშნავს „სხვა თეატრისადმი“ სიძულვილს. ეს მხოლოდ მოსკოვის სამხატვრო თეატრისადმი მის საოცარ სიყვარულზე მიგვითითებს.

მაგრამ ჩვენ „ვკვდავს ზოგიერთი რეჟისორი, რომელთა ლოზუნგია: დიდი წარმატება ექნებოდა ქართულ სცენაზე? თუ საჭირო იყო მოლიერის ჩვენება, რატომ არ აირჩია, ვთქვათ, თვით მოლიერის რომელიმე პიესა? თუ კი ისტორიული თემით იყო გატაცებული, რატომ არ აირჩია, მაგალითად ირონ ვაკელის დიდი პატრიოტული შთაგონებით დაწერილი „რუსთაველი“, ან მისივე „გიორგი საკაძე“, რომლებიც რ